ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის
სამსახურს

შპს "იბერია-95"-ის დირექტორის
მერაბ სიჭინავას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ 2000 წლიდან შპს "იბერია-95"-ს საკუთრებაშია მეტრო "სარაჯიშვილის" მიმდებარე მიწის ნაკვეთი. 2000 წელს, თბილისის მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებული იქნა პროექტი (№182, 22.05.2000წ.) და გაცემულ იქნა თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ საამშენებლო პასპორტი(№122, 03.04.2000წ.). გარდა ამისა, 2000 წლის 29 ივნისს თბილისის მერიის არქიტექტურულ-საამშენებლო კონტროლის ინსპექციის მიერ გაცემული იქნა მშენებლბის დაწყების უფლება №157(გაგძელებული იქნა 2002 წლის 17 ოქტომბრიდან). მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, შექმნილი ფინანსური სიძნელეების გამო ვერ შევძელი მშენებლობის დროულად დაწყება, ხოლო შემდგომში სააკაშვილის მთავრობის მხრიდან შექმნილი წინააღმდეგობების (წართმევის, ძალადობისა და ბინძური მცდელობების) გამო საერთოდ შემიჩერეს პროექტით გათვალისწინებული საქმის განხორციელების უფლება და მეტიც, 2009 წელს შეუცვალეს აღნიშნულ ტერიტორიას სტატუსი და გადაიყვანეს ის "სსზ-1"-ში, რამაც საბოლოოდ შემიზღუდა ჩემი კუთვნილი ტერიტორიის განვითარებისა და მოწესრიგების შესაძლებლობა.

აქვე მინდა გაცნობოთ, რომ 2014 წელს ქ.თბილისის საკრებულომ განიხილა ჩვენი საკითხი(№1435, 04.03.2014წ.) და მიზანშეწონილად მიიჩნია და მართებულად ჩათვალა სსზ-1-ის სსზ-2-ად შეცვლა, რადგანაც სსზ-2, მესაკუთრის მიერ შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო ავტოსადგომად, რაც გატვირთავდა იქ არსებულ სატრანსპორტო მდგომარეობას, ხოლო მესაკუთრეს საშუალებას მისცემდა განევითარებინა მის საკუთრებაში არსებული ტერიტორია. აღნიშნულის შესახებ, ქ.თბილისის საკრებულომ წერილით მიმართა ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, კვლავ ადგილი ჰქონდა ჩვენზე ადრე განხორციელებულ ქმედებას და შედეგად უარყოფით პასუხს.

გთხოვთ, შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი და კანონის მოთხოვნასთან შესაბამისობაში და დაცვით განცხადებული დააკმაყოფილოთ, რომ მოხდეს აღნიშნული ტერიტორიის გააქტიურება, მისი საზოგადოებრივ საქმიან ზონად გადაყვანა.

შპს "იბერია-95"-ს
დირექტორი მ.სიჭინავა